საბაკალავრო პროგრამის დასახელება: დაწყებითი განათლება / Elementary Education

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Education (B.Ed) in Elementary Education

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ჭკუასელი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

საქართველოში მოქმედი განათლების კანონის შესაბამისად, დაწყებითი საფეხური განისაზღვრება I-VI კლასით. პროგრამის მიზანია ისეთი მასწავლებლის მომზადება, რომელსაც ექნება დაწყებითი განათლების, როგორც დარგის, და არა – სხვადასხვა დისციპლინის ნაკრების ხედვა. კურსდამთავრებული ღრმად უნდა ფლობდეს თითოეულ დისციპლინას ცალ-ცალკე და უნდა შეეძლოს ამ ცოდნათა გაერთიანება საფეხურის მოთხოვნებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ამავე დროს, ბუნებრივია, პროგრამა მას შესძენს პედაგოგიკურ-მეთოდიკური დისციპლინების ცოდნასა და პრაქტიკული გამოყენების უნარს.

პროგრამის შედეგები:

- დაწყებითი საფეხურით გათვალისწინებული სასწავლო საგნები;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპები და შესაბამისი მოთხოვნები;
- დაწყებით სკოლაში მუშაობის მეთოდები და პრინციპები, პედაგოგიკური თეორიები და კონცეფციები;
- პედაგოგის პროფესიული სტანდარტი და სათანადო ეთიკური ნორმები;
- მშობლებთან და კოლეგებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები;
- საგნობრივ-პედაგოგიკურ-თეორიული ცოდნის სასწავლო პროცესში გამოყენება;
- დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემის ამოცნობა და გადაჭრა შესაბამისი პედაგოგიურ-ეთიკური ნორმების გამოყენებით;
- სწავლების პროცესის მოსწავლეთა ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებთან წარმატებით მისადაგება;
- აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის ეფექტური განხორციელება შესასწავლ მასალაზე დაყრდნობით;
- სასწავლო პროგრამის სწორი დაგეგმვა და ორგანიზება;
- სასკოლო გარემოში საგნის სწავლებისას აუცილებელი პრიორიტეტების გამოყოფა, რესურსების მოძიება და გამოყენება;

- სწავლების მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესისათვის კონკრეტული ტექნოლოგიის შერჩევა და პროცესის შესაბამისად წარმართვა;
- დარგობრივ სფეროსთან დაკავშირებული სიახლეების გაანალიზება და პროფესიულ საზოგადოებაში მასზე კომპეტენტური, არგუმენტირებული მსჯელობა;
- პედაგოგიური სიტუაციების ანალიზი და არსებული პრობლემების გადასაჭრელად ოპტიმალური გზებისა და ხერხების შერჩევა;
- კონკრეტულ სასწავლო სიტუაციაში პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტა;
- სასწავლო პროგრამის წლიური დაგეგმვა და მართვა;
- გაკვეთილის ეტაპების დაგეგმვა და მართვა;
- ჯგუფებთან და ინდივიდებთან კომუნიკაციის ყველა ფორმის პროფესიულ დონეზე გამოყენება (ზეპირი, წერითი, დისკუსია, დებატები);
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) თავისუფლად გამოყენება, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება;
- სწავლა/სწავლების პროცესში დასახული კონკრეტული მიზნისათვის საჭირო სიახლეების მოძიება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- დარგობრივ სფეროში მოღვაწე ნებისმიერ მიზნობრივ ჯგუფში მუშაობა;
- სწავლება/სწავლის პროცესში გაითვალისწინოს და პატივი სცეს მულტიკულტურალიზმსა და მრავალფეროვნებას;
- საკუთარი ცოდნის თვითშეფასება და საჭიროების შემთხვევაში სწავლის გაღრმავების აუცილებლობის განსაზღვრა;
- საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე ცოდნის გაღრმავება და შესაბამის მოთხოვნებთან ადაპტირება;
- კვლევის მეთოდების ეფექტური გამოყენება;
- მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა;
- არსებული სასწავლო ან აღმზრდელობითი მდგომარეობის შესწავლის მიზნით კვლევის ჩატარება;
- პროცესის გაუმჯობესების მიზნით კვლევების წარმოება დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დარგში აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა;
- საკუთარი სამუშაოს კრიტიკულად შეფასება და დამოუკიდებლად გაუმჯობესება;
- სწავლება/სწავლის პროცესის ძირითადი პრინციპების, მეთოდების, ორგანიზაციის ფორმების, შეფასების ფორმებისა და მეთოდების ეფექტურად გამოყენება;
- მოსწავლეებთან და კოლეგებთან მეგობრული, თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება;
- მშობლების მობილიზება აღზრდის პროცესში მათთან თანამშრომლობის მიზნით;

დასაქმების სფეროები:

- მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ბუნებისმცოდნეობის და მათემატიკის მასწავლებელი – დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები);
- საქართველოს ისტორიის, სამოქალაქო განათლების და საქართველოს გეოგრაფიის მასწავლებელი – დაწყებითი საფეხური (V-VI კლასები) ;
- საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- განათლების საკითხებით დაკავებული არასამთავრობო სექტორი.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ''განათლების მეცნიერებების'' სპეციალობით, ასევე სხვა სპეციალობების მაგისტრატურაში, თუ ამის უფლებას შესაბამისი სამაგისტრო პროგრამა იძლევა.

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: ძირითადი სპეციალობით გათვალისწინებული საგნების არჩევა სტუდენტებისათვის სასურველია სწავლის პირველივე სემესტრიდან.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D

51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებისა თუ კერძო კოლექციების ბაზაზე; თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, მდიდარი ვიდეო და აუდიოთეკა, შესაბამისი ვიდეო და აუდიოტექნიკა.